მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო,
საპროცედურო, და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომა

ოქმი №8

ქ. მარტვილი 4 სექტემბერი, 2023 წელი

სხდომა დაიწყო 12 ^{00} სთ-ზე, დამთავრდა 13^{00} სთ-ზე

სხდომას ესწრებოდნენ: კახაბერ ჯგერენაია, მინდია გაბისონია, ირაკლი დიხამინჯია, ჯამბულ ხუროძე, აკაკი ხუნწელია, გოჩა ჯიქია, ნათია ქაჯაია.
სხდომას თავმჯდომარეობდა, მარტვილის მუნიციპალიტეტის, საკრებულოს, სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე კახაბერ ჯგერენაია.
მოისმინეს 1: სხდომის თავმჯდომარემ კახაბერ ჯგერენაიამ დღის წესრიგის პროექტი გააცნო სხდომის მონაწილეებს.

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის, დიდი-ჭყონის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფელში მდებარე №39 ქუჩისთვის ნიკო ფიროსმანის სახელის მინიჭების თაობაზე.

/მომხსენებელი-კახაბერ ჯგერენაია, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

პირველი საკითხის წინ რეგისტრაცია გაიარა კომისიის 6–მა წევრმა.

მოისმინეს1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, სამანდატო, საპროცედურო, და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის კახაბერ ჯგერენაიას მოხსენება, მარტვილის მუნიციპალიტეტის, დიდი-ჭყონის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფელში მდებარე №39 ქუჩისთვის ნიკო ფიროსმანის სახელის მინიჭების თაობაზე.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო აღნიშნული საკითხი და აღნიშნა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად ჩატარდა დიდი-ჭყონის ადმინისტრაციული ერთეულის №39 ქუჩაზე მცხოვრები მოსახლეობის გამოკითხვა, რომლებმაც შემდგომში წერილობით

დაადასტურეს, რომ აღნიშნულ ქუჩას ეწოდოს გამოჩენილი ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანის სახელი.
კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს სთხოვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოეთქვათ.
კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და კენჭისყრის შედეგად:
მომხრე 6. წინააღმდეგი 0.
კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: მოწონებულ იქნას მარტვილის მუნიციპალიტეტის, დიდი-ჭყონის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფელში მდებარე №39 ქუჩისთვის ნიკო ფიროსმანის სახელის მინიჭების თაობაზე საკითხი და კომისიის გადაწყვეტილება წარედგინოს მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს.
ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: კახაბერ ჯგერენაია